

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქალაქ ზუგდიდი

20 ნოემბერი 2014 წელი

ჩვენ, ერთი მხრივ, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს რექტორი თეონა ხუფენია და მეორე მხრივ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში „საკრებულო“), რომელსაც წარმოადგენს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მერაბ ქვარაია, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

### მუხლი 1. ურთიერთთანამშრომლობის მიზანი

მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს. მხარეები იღებენ ვალდებულებას ყველა ღონე იხმარონ შექმნან სათანადო პირობები ამ მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

### მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას.

აღნიშნული გამოიხატება სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული „საჯარო მმართველობის“ და „სამართლის“, სპეციალობების სტუდენტებისათვის პრაქტიკული და დარგობრივი კომპონენტების გავლის უზრუნველყოფით.

### მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად საკრებულო ხელს უწყობს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მათი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოცულობისა და დატვირთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლას, სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოფილი მენტორების (ხელმძღვანელების) მეთვალყურეობის ქვეშ.



2. პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას. რეალურ სამუშაო პირობებში მიიღებენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და კომპეტენციებს.
3. მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის საკრებულო უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, განახორციელებს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული გეგმის შესაბამისად და ადასტურებს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლას სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და კრიტერიუმებით.
4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.
5. ერთობლივი ღონისძიებების (კონფერენცია, სემინარები, ოლიმპიადა, საჯარო ლექციები და სხვა.) ორგანიზება და მათში მონაწილეობის მიღება.

#### მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთთანხმობის საფუძველზე.
2. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს იმ ვადით, სანამ ერთ-ერთი მხარე წერილობით არ მოითხოვს მის შეწყვეტას.
3. წინამდებარე მემორანდუმში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
4. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლის თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის  
სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტის რექტორი  
თეონა სუფიანი



ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე  
მერაბ ქვარაია

